
გამარჯობათ,

როგორც მოგეხსენებათ, წარმოდგენილი პროექტი განხილულ იქნა ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2015 წლის 08 ოქტომბრის #46 სხდომაზე, რომლის დასკვნის საფუძველზე მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი განისაზღვრა კ-2=3.6

იხ: დანართი წერლის სახით) #2245143

რაც შეეხება მოსაკრებელს: წარმოგიდგენთ მოსაკრებლის გამოთვლის კალკულაციას, სადაც ჩანს, რომ მომატებული კოეფიციენტით (შესაბამისი ფართით) მოსაკრებლის გადახდა არ არის საჭირო.

დამატებით გაცნობებთ აქვე, რომ ბოლო (დამატებული) სართული ითვლება არასრულ სართულად, რადგან ჭერის სიმაღლე 2.40 სმ და შესაბამისად ამ სართულის ფართი არ შედის კ-2 კოეფიციენტში.



თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

წერილი № 2245143

გაცემის თარიღი: 12/11/2015 გაცნობის თარიღი: 13/11/2015

განცხადების ნომერი: AR1347464

შემოსვლის თარიღი: 07/10/2015

შედეგი: **თანხმობა**

მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ი:

- საკადასტრო კოდი: 01.11.12.013.018
- მისამართი: ქალაქი თბილისი , გლდანი , I და II მ/რ-ებს შორის , სავაჭრო ცენტრის მიმდებარედ , (ნაკვეთი N 013/018)
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
- ფართობი: 225.0 კვ.მ
- მესაკუთრე(ები): შპს ,,პრესტიჟი" (400147453)

ნომენკლატურა :

- **მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები**
- **ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდა**

დამკვეთი - განმცხადებელი:

- ქეთევან ფანცულაია პ/ნ 01008010269
- მისამართი: თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 66 ბ. 5

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანებისრეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის“ თანახმად

წერილი

თქვენი AR 1347464 (07.10.15.) განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენი საკითხი განხილულ იქნა “ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის” 2015 წლის 08 ოქტომბრის #46 სხდომაზე, რომლის დასკვნის საფუძველზე მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი განისაზღვრა კ–2=3.6–ით

დანართის სახით გიგზავნით ზემოთაღნიშნული სხდომის #46 (08.10.15.) ოქმიდან ამონარიდს და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 30 ოქტომბრის #4120 ბრძანების დამოწმებულ ასლს.

- კითხვების შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ: მერიის ცხელ ხაზს 2722222, არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციას, ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზს 2378346. ასევე მობრძანდეთ არქიტექტურის სამსახურის საკონსულტაციო ოთახში შარტავას ქ. #7 მერიის შენობა მეორე სართული ოთახი #9, ან რაიონულ გამგეობებში არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენლებთან.